



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №100

2011 წლის 8 აგვისტო
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში „ოქროს შემოდგომა –ხაშური 2011“ სახალხო დღესასწაულის დაწესების, ტრადიციული სახალხო დღესასწაულის „ლესიობის ჩატარების და „შიდა ქართლის დღეების“ აღნიშვნის მოსამზადებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაულის „ოქროს შემოდგომა-ხაშური 2011“ დაწესების უზრუნველსაყოფად:
 - დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას წარმოადგინოს დღესასწაულის „ოქროს შემოდგომა--ხაშური 2011“ ღონისძიებათა პროგრამა/პროექტი
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო—საბიუჯეტო სამსახურს წარმოადგინოს „ოქროს შემოდგომა—ხაშური 2011“ ღონისძიებათა პროგრამა/პროექტის ფინანსური გაანგარიშება და ხარჯები
3. დღესასწაულის „ოქროს შემოდგომა--ხაშური 2011“ ღონისძიებებთან ერთად ასევე დაიგეგმოს ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ლესიობის“ ჩატარება და „შიდა ქართლის დღეების აღნიშვნის ღონისძიებებში ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის ხელშეწყობა და ორგანიზება
4. განკარგულება გაეზღვეოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას
5. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #13).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

